

შინაური საქმეები

უოველკვირული გაზეთი

№ 7.

კვირა, მაისის 25, 1908 წ.

ფასა წლიურათ — 4 მან.

ნახევარა წლით — 3 მან.

ცალკე ნომერი ღირს 8 კაპეიკით.

აღრისი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაარსი: ჩვენი სასულიერო სასწავლებელი—უკიდურესისა; რა დროში ვართ?!—ტონკმელისა; აღრევიითი წესი სამღვდლოებაში და მისი ცული მხარეები მღ. პარმენ ყაზშიძისა; პროფესორ მაქს მიულლერის აზრი მატერიალიზმზე (თარგმანი)—ბოსლეველისა; ჩვენი დროის არიოს-ეგვიზიზმის (ლექსი)—ლ. გაგუასი; მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უკვდავებას და საიქიო ცხოვრების არსებობას—სანმანიანისა; მკირე შენიშვნა.—მ.—ა.—სა;

უოველ კვირულ გაზეთი

„შინაური საქმეების“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო — კაზაკოვის — შესახვევში № 17) და სავაჭრო საბჭოში — წლიურა ფასი 4 მან. ნახ. წლით 3 მ. ცალკე ნომერი ღირს 8 კ. აბრილიდგან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

ჩვენი სასულიერო სასწავლებელი.

(დასასრული*)

ყოლიფერი გვაქ ჩვენ წესაზე ცოტოცა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ არაფერი გვიფერვა. სავაჭრო სასწავლებელი, როგორც მოგახსენეთ, ხომ წყალწოდებულია და არც საქაღებო სასწავლებელია კაი მდგომარეობაში: წყალწალკაული თუ არა, წყალწალკები მაინც არის, საშუალო სასწავლებლად ითვლება ი დალოცვილი, ქვეყნის ოდენა უფლებებს იძლევა და სწავლა განათლება იოტის ოდენა არ ყრია შიგ. რა უბედურება დაგვეწერა: პროგრამა ვრცელია, ქაღებიც უნიტოები არ გვეყვანან და რა ამბავია, ორ ღერ რუსულს რომ ვერც წააბამენ ერთმანეთზე და ვერც დაწერენ ისე, რომ ერთ სტყვაში ორი

* იხ. „შინაური საქმე“ № 6.

მაინც შეცდომა არ დაუშვან. ქართული ხომ ქართულია და ამასაც ვერ ლაპარაკობენ ხეირიანად, ლიტერატურულად, თუმცა ამ საგანს ფართო ადგილი უჭირავს სასწავლებელში: „ძმანები“, „დანები“, „აქანეი“, „მაქანეი“, „მიოთინ“, „მაგიოთინ“, და სხვა ამის მგავსს ენის მარგალიტებს ხშირად გაიგონებთ ჩვენი მომავალი დედებისაგან. საზოგადო განვითარებაზე ნულა მკითხავთ რა გვემართება?... რათა ვართ ასეთი დაჩაგრული? გვიქადიან მეშვიდე კლასი საქმეს გააკეთებსო. არა, ძმობილო! ვინც მოგეტყუებოთ, ის მოატყუეთ! სადაც რვა წელიწადმა ვერაფერი გააკეთა, იქ ერთი წელიწადი საქმეს წინ ვერ წასწევს. თუ წასწევს და „აღდგომა და ხელო“, ნათქვამია. ამას მომავალი გვიჩვენებს, ხოლო ჯერ ჩვენ ექვს კლასს ვაფასებთ თავის მოსამზადებელი კლასებით, რომელიც რაღაც არ გვაკმაყოფილებს, რაღაც არ იძლევა მას, რის მიცემაც შეუძლია, თითქოს ენანება მისაცემელი, თითქოს ძუნწობს. რა არის ამის მიზეზი? (ნურავის ეწყინება) იგივე უპატრონობა, რომელმაც დაძღუება სავაჭრო სასწავლებელი. დიას ეპარხიალურ სასწავლებელს არ ჰყავს პატრონი გულშემატკივარი. აბა მიიხედ მოიხედეთ, რომელი დაბალი ან საშუალო შკოლაა იმის მეტი უთაო, უუფროსო. სხვა საკითხია, როგორია თავი, მაგრამ ჩვენ ამაზე არ ვამბობთ. ჩვენ ვამბობთ, რომ სულ არ არი! ეს თავი, არ არის გულ-



შემატიკივარი პატრონი, რომელიც სულ მუდამ თავს დასტრიალოდეს მას, მისით ხარებადეს, მისით ცოცხლობდეს. არ არის და ეს იმის ბრალია, რომ თუთხმეტ თუმნად არაფერ დაგიდგება და, თუ დაგიდგება, აცაბაცა დაიქვრს თქალებს და სარაქლემას ფეხებს გამოიხსამს და შერე ერთს კი არა, ოთხს და, თუ საჭირო შეიქნა, ათსაც. ნუ მეტყვით გულშემატიკივარი უფროსი არაფერს ნიშნავს! უამისობა ყოლიფერში. ატყვია ჩვენ უბადრუკ ქალთა სკოლას. დავანებოთ თუნდა თავი სწავლას და გავიხედოთ სკოლის ბაღში. რას წარმოადგენს იგი? აზრდის ყოფილ მშენიერებისას; ბაღის ნაშთს და არა ბაღს. ასე რომ იგი ბაღიც აღარაა, ეზოა უბრალო, გაბარტახებული ეზო, რომლის ვაკეთება-გამშენებაზე კი არ ფიქრობენ ეხლანდელი უფროსები არამედ მის მოფუტე მოოხრებაზე. აბა რას ნიშნავს, მიბრძანეთ, ხუთასამდე ოთხკუთხი საყენი ადგილი რომ ჩამოსჭრეს და კაზაკებს ცხენები დაუახლოვეს სასწავლებელს? გენა სკოლის ეზო უნდა შეამკირო, თუ უფრო უნდა გაათართოვო, რომ, რაც შეიძლება, ვრცელი მისაღწეულ მოსავლელი ჰქონდეს ბავშვს და მასთან სუფთა ჰაერით სარგებლობდეს. ჯერ თავისთავადაც არ არის დიდი მრთელი ადგილი და უმეტეს სუფთა ჰაერის მექონე ყაზახთა ცხენების გადამკიდე და ეზოა ხომ პირდაპირ ნეხვის წუმპეში სცურავს ჩვენი სასწავლებელი და მასთან წმ. ტაძარიც. მერე რის გულისთვის ჩაიდინეს ეს უკეთურება? რა სარგებლობა მოუტანეს სასწავლებელს? ოთხასი მანეთი წლიური შემოსავალი! ოთხასი მანეთი, რომელიც, ერთმანეთში რომ გავგენაწილებთა შემოსატანად, შეგვხედებოდა არა უმეტეს ათი შაურასა წელიწადში. ოთხასი მანეთი წლიურად დიდი შემოსავალიაო, ამბობენ და იმას კი აღარ განგარიშობენ, თუ რა ზარალი მოაქვს ცხენის ჩონჩორიკის სუნით გატენილ ჰაერს, თუ შემოსავალზე ბრძანებთ, სულ რომ დავკლიდეთ სკოლას და გადავცემდეთ ყაზახთა პოლკს, უფრო მეტი შემოსავალი გვქნება. მაგრამ რას ემგვანება ეს ვაჭრული ანგარიში? ასეთ ვაჭრულ ანგარიშებს რომ ვაგეტაცებთა ქუთაისის

საეჭებო გინაზაა, შენობას კი არ გააკეთებდა, დუქნებს აიშენებდა და ოთხას მანეთს კი არა, ოთხიათას მანეთსაც იოლიდ აპკრავდა ხელს წელიწადში...
 არა, ნუ მეტყვით, რომ გულშემატიკივარი უფროსი საჭირო არ იყოს! აბა გადიხედეთ ქ-ნ რუბანის ეგრეთ წოდებულ უფასო ქალთა შკოლაში! რაც უნდა გექჩარებოდესთ, ათი წამი მაინც შეგაჩერებთ მისი მშენიერება. ჯერ კიდევ რამოდენიმე ათ ნაბიჯზე გტყორცნის მისი ყვაილებში ჩაფლული ეზო საუცხოვო გამაცოცხლებელ სურნელებას. საგანგებოდ გაწმენდილ-გაკრიალებული, იგი მოგტაცებთ თვალს და დიდხანს დაგატყვევებსთ, თუ სულ ცხოვრების მდამიო ჭირვარამს არ წარუტაცნია თქვენი გრძნობა-გონება, თუ გაქვს კიდევ უნარი ბუნების მშენიერების დაფასებისა. ეტყობა გულშემატიკივარი დიასახლისი ჰყავს სასწავლებელს! ევაშა მის დიასახლისობას!
 როგორ მოვიქცეთ, რომ სასწავლებელი ავაყვავოთ, როგორც სწავლის მხრით, ისე გარეგანს მდგომარეობით? სხვათა შორის უნდა დაუყენოთ განსაკუთრებული, უზრუნველ ყოფილი და საქმისთვის თავდადებული ზედამხედველი—ინსპექტორი. უკანასკნელს საკმაო თავისუფალი დრო უნდა ჰქონდეს, რომ თვალყურს ადევნებდეს სწავლა-აღზრდის საქმეს და შკოლის გარეგან მოკაზმვა-გამშენებას. სანამ ასეთი უფროსი არ ეყოლება, სასწავლებელი ვერ იხეირებს თქვენ უეჭველად დამკთანხებით, რომ კაცი ამშეკენებს ადგილს, რომ იგია საზომი ყოლიფერისა. უკაცოდ ყოლიფერი ხდება, ვერანდება. მაშასადამე უამისოთ ვერც ჩვენი სასწავლებელი იარსებებს. უკაცოდ იგიც გავერანდება. საქმეს კაცი უნდა და კაცს საშვალეება ცხოვრებისა. თუ ჩვენ საშვალეებას მოვსძებნით, კაციც მოიძენება და თუ არა, ამისანა ყოფნას თითქმის არ ყოფნა სჯობია.
 ძალა ერთობაშიაო ნათქვამია და ეს თქმულება ამ ბოლოს დროს თითქმის მთელი კაოკობრიობის დევიზად გადიქვა. მართალიც არის: რაც ერთ კაცს არ ძალუძს, გააკეთოს თავის ძალდონით, იმას საზოგადოება ადვილად და შეუძენველად გააკეთებს. ერთ მღვ-

დელს არ შეუძლია, რა თქმა უნდა მთელი სა-
წავლელელი შეინახოს, მაგრამ მთელი ეპარ-
ქიის სამღვდლოებას, თუ სულ არ დაძაბუნ-
დება, ადვილად შეუძლია ეს საქმე იტვირთოს.
ხოლო თუ ორი ეპარქიის სამღვდლოება შე-
ერთდება, მაშინ ხომ არაფერი იქნება შეუძ-
ლებელი. და თუ ჩვენი განგაში ძმობა-ერთო-
ბაზე უბრალო გატაცება არ იყო, რატომ არ
უნდა შევეერთოთ გურია-სამეგრელოს ეპარ-
ქია და ერთად არ ვაწარმოვოთ სკოლების სა-
ქმე? ჩვენ ვერაფერს ვხედავთ ამის დამბრკა-
ლებელ მიზეზს, ხოლო სასიკეთოს კი ბევრს
ვითვალისწინებთ და სხვათა შორის „Съ міру
по нѣточкѣ — бѣдному рубашка“ და ეს
ღარიბიც ხომ თვით სამღვდლოების ზოგიერ-
თი წევრები არიან... „შინაური საქმეები“ სია-
მოვნებით დაუთმობს ადგილს ამ საკითხის ყო-
ველ მხრივ დაფასებას და შემუშავებას.

უკიდურესი.

რ ა დ რ ო შ ი ვ ა რ თ ე ?

რა დროში ვართ? რას მოვესწარიტ? აი
საკითხი, რომელიც დემონიურად გილიტინებს
ყურებში ირგვლივ, ყოველს ბიჯზე და არ
იცი, რა პასუხი გასცე მის მეტი, რომ შოთა
რუსთაველთან ერთად იმეორებ გულმკერდის
ამოგლეჯით და მწარე ოხერით: „ვაჰ, სოფე-
ლო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე
გქირსა“! საათი საათს მისდევს, ღღე ღღეს,
წელი წელს და ოხერა და გმინაც თან და
თან იზრდება პროგრესიულად. დაფიქრდები,
დაფიქრდები, დააშტერდები მიწას და კიდევ
სახე დადრეჯილი ეკითხები თავს: სად მი-
ღდივართ? რა ვართ? გუშინ რა იყო და დღეს
რა არის? რით დასრულდება? ნუ თუ ასე
გაგრძელდება! ნუ თუ... კიდევ შეეკითხები
შენ თავს და აღარ იცი, რით დააბოლოვო ეს
მწარე ფიქრი და სულელის საუბარი. ირ-
ვი ხალხში, ყველა ფუსფუსებს, თითქოს ერ-
თის შეხედვით უწინდებურია ცხოვრება: ის
ჩვეულებრივად თავს გიქრავს, ეს მშვილობა

კითხულობს, ის ვეთხოვება და სადღაც იჩქა-
რის, აქ იცინიან, იქ ტირიან, გვერდზე იგი-
ნებიან, წინ იღრიჯებიან, მაგრამ შენ გულში
შინც ჯოჯოხეთია და ისევ ეკითხები ბრბოს:
რას თვალმაქცობთ, შვილონან! ვის ატყუებთ?
ვითომ რწმენა გაქვთ?! განა ენდობით ერთმან-
ეთს?! კიდევ გაქვსთ სიყვარული გულში?!
არ დაგვიწყნია მოვალეობა?! ვითომ დღეს პი-
რუტყვი არა ხარ და მხეცი, გუშინ რომ კაცი
იყავი?! რას „ფოკუსობთ“? ვითომდა არაფერი,
განა?! აგრე, აგრე ითვალმაქცეთ, სანამ სული
შეგრჩენიათ, მე კი ვერ დამაჯერებთ, რომ
თქვენ დღეს მხეცები არა ხართ, რომ თქვენ
ღვთის სახე შეგრჩენიათ, რომ თქვენ კეთი-
ლისკენ მიისწრაფით, რომ თქვენ სისხლით არ
გინდათ გაძღეთ! ასე გიღრინავს გული, მიჩერ-
ჩეტობ სადღაც და არ იცი, რას მოგიტანს
ხვალინდელი დღე, ან რით გეთავდება დღე-
ვანდელი დღე. მართლაც, იცი, რომ კიდევ
იხილავ მზეს? შინ მშვიდობით მოგივა საყვარ-
ელი შვილი, გარეთ რომ გავიდა?! იცი რას
მოგიტანს დებეშა და გაზეთის ქრონიკა?! იცი
ვის ახრჩობენ დღეს; ან ვის დახვრეტენ ხვალ?!
იცი ბომბი ხვალ ვის წააგლეჯს თავს?! იცი
ახალი ამბავი ნერვებს დაგიმშვიდებს, იმ ნერ-
ვებს, ციებიანივით რომ ცახცახებს გუშინდე-
ლი ამბების შემდეგ?! არ იცი, განა? ჰოჯა
რა დროში ვართ, რა დროში? პასუხი არაა!
ნეტარნო მამანო და პაპანო! ნეტარება
თქვენ, რომ ამას არ მოესწარიტ და ტკბილად
დალიეთ დღენი თქვენნი! მაგრამ ნუ თუ სიბრა-
ლული სულ აღარ გაქვსთ? ერთი ამოიჭვრი-
ტინეთ მაგ მყუდრო საკანდამ და შეხედეთ
ჩვენს ცხოვრებას! გაგიყების ხომ არ გეშინიათ?
ჰო, წყეულია ეს დრო და ვერ აიტანს ამას
თქვენი კეთილი გული!

„არა გული ვითქმიდეს მოყვასისათვის შე-
ნისა“... არა გული ვითქმიდეს... მამ...
კარგი, მაგრამ ყველაფერი თქვენ, ბედნიერ მა-
მა-პაპათ, და ჩვენ, შვილებს, სულ არაფერი?!
თქვენ გგონიათ, მე არ მახსოვს, რა იყო,
თუნდა იმ დღეს, აღდგომის ცისკარზედ, თქვენ
რომ კიდევ ვაქცაყები იყავით და მე პატრა
ბაღლი? ეს იყო დღე კაცობრიობის განახლე-

ბისა, როცა სიკოცხლემ სძლია სიკედლის, სინათლემ—ბნელს, კეთილმა ბოროტს, მაცხოვარმა და შეგობარმა ქვეყნისამ—იუდას, სულის თავისუფლებამ და აღმაფრენამ—მონობას ხორციელს. ჯერ კიდევ შუაღამე იყო და ეკლესია სავეს იყო ხალხით, არავის ძილი არ მოსვლია ფაქად. დიდი და პატარა საყდრისკენ გაერბოდით, მე ფეხებში კინაღამ გამსრისეს, მაგრამ მაინც მივანჩალობდა, ჯიბე და უბე წითელი კვერცხებით მქონდა სავეს! რა დამავიწყებს იმ წუთს, იმ სამოთხეს, როცა ცა დედამიწას შერიგებოდა და ეამბორებოდა?! მეც ტუჩი გაშვერილი მქონდა, ყველას კოცნა მწყურდა და რასთვის—კი, არ ვიცოდი, არ ვიცოდი, მაგრამ ცოდნა რა საქირა იყო, ისეც ხომ ბედნიერი ვიყავი?!

შევცვინდით ეკლესიაში, ავასვენეთ ხატები და ჯვრები და ანთებული სანთლებით და „აღდგომასა შენსა“-ს გალობით შემოგვევით საყდარს გარშემო. ნეტა, მაშინ რომ ყველა მგონობდა, ყველა გალობდა, დღეს რამ დაგვამუნჯა ყველა, რომ ცხერის ბღაველიც კი აღარ გვეხერხება?! ვინ დაგეწყველა?!

მაშინ იხარებდა სიონი, იშვებდა ერუსალიმი! ვარეშე ბუნება დავლურს უვლიდა! ქრისტე აღსდგას გრიალი, ბულბულების სტვენას და კენესას უერთდებოდა და ეამბორებოდა ნაკადულის ჩხრიალი და ფოთოლით შრიალი „ქეშმარიტად აღსდგა“-ს ეუბნებოდენ და ერთმანერთს ეხვევოდნენ.

ყველანი ბედნიერნი ვიყავით! ყველას მსუბუქად გვქონდა გული! არაფერი არ გვახრობდა, არაფრის არ გვეშინოდა! სიკოცხლით სავსენი ვიყავით ყველენი, ბებია და ბაბუა კვერცხებს აქაზუნებდენ, თვალზე ლმობიერების სრემლი აღგებოდათ, გულში გრძობა აღარ ეტია და ენას უზიარებდა! ყველას სული აღმაფრენდა! ციური მშვენიერება ქვეყნად გამეფებულიყო!..

ჰო და ახლა მითხარი, არაგული გითქმიდესო! როგორ არ მითქმიდეს?! როგორ არაა სახარბიელო?! აბა ნახეთ, რა იყო გუშინწინ ჩვენს კისკარზედ აღდგომას! სამრეკლოზე ხა-

რები იმტვრეოდენ ცემით და სახლებში ყველგან ხერინი ისმოდა! ერთსაც არ ელვინა, მგონი!

ჰო, ეკლესიაში მღვდელთან და დიაკვნთან ორი მოხუცი შევაქნიე—კაცი და ქალი, ვგონებ მოხუცებისაგან ძილი აქვთ გატეხილი და შიტომ მოსულიყვენენ. ლიტანიას ვინ უფლის?! ხატი ვინ ასვენოს?! მღვდლის „ქრისტე აღსდგაზე“ „ქეშმარიტად“ ვინ სთქვას?! ქრისტე უკვე გალილიაში მისულა და ჩვენი ხალხი ჯერ არც კი ამდგარა! ქრისტე აღსდგა, მაგრამ ხალხი არ აღსდგა! უღალატა, უღალატა მას!

არაგული გვითქმიდეს?! ოჰ, როგორ შეიძლება?! იმ დღეს, თქვენს დროს, საყდარში სატეობა არ იყო, ახლა ცალიერობას მოეცვა ყველაფერი! კიდევ? იქ სიფხიზლე, აქ ძილი, იქ აღტყინებული სიხარული, აქ ტირილი და დარღვეილობა, იქ სულის აღმაფრენა, აქ მძარის დაცემა, იქ სიტკობება, აქ სიმწარე და ნალველი, იქ უღელი მსუბუქი, აქ ტვირთი მძიმე, იქ სამოთხე, აქ ჯოჯოხეთი, იქ თავისუფლება, აქ მონობა, იქ ცისკარი, აქ მწყურბრი, იქ სიცილი, აქ ღრქენა კბილთა, იქ სინათლე, აქ ბნელი გარესკნელი, იქ სული სავეს, აქ სული ცალიერი, იქ ზეალსვლა, აქ ქვედასვლა! ჰოდა არა გული გვითქმიდეს?! არაა სახარბიელო?! ნუღარ იტყვიოთ, სულ ნუ მოგვეკლავთ, ბედნიერნო!

ახლა აგერ შეხედეთ გვერდზე! ორი ფარისეველი, თუ ორი ქოსატყუილა, დემონიური ღიმილით და ჯოჯოხეთური სახის გამომეტყველებით უსულგულოდ, შშარალად, ნამალეზად ულოცვენ ერთმანეთს: „ქრისტე აღსდგა!“ „ქეშმარიტად აღსდგა!“ აქ ასე, იქაც ასე! და შენს მორწმუნე სულში, დასნეულეზულს, დაავადებულს, დაოსებულს, სულში, გალანძღულს სულში უნებლოეთ ვაწვევა მტანჯველი კითხვა: „მერე რას ნიშნავს მათი კოცნა! რა ფასი აქვს მათს მილოცვას?! საკოდაენიკ კი არა არიან?.. და ისევ ვეხატება მაცხოვარი გეთსამანაის ბაღში, რომელიც ეკიხება გამცემელს იუდას: „იუდა! ამბორის ყოფითა მისცემა შენა კაცისასა!“ (ლუკა 23,

48). და შენც ბრახმოსული ეკითხები: როგორ კადნიერობ შენ, იუდა, უწმინდურო, ურცხვო, იუდა? როგორ ძრავ ენას და უწმინდურ ბაგით შეურაცხყოფ ქვეყნის მხსნელს! სდუიმდინ, იუდა, ძეო წარწყმედისა! უბედურო! ქრისტე კი აღსდგა, მაგრამ შენ, კაცის მკვლელი, სისხლის მსმელი, შენ აღსდექი?! ის აღსდგა, მალე იგი კიდევ ამალდებო, გარნა შენ, ცოდვის შვილო, იუდა, დღესაც აბობო: „უკეთუ არა ვიხილო ხელთა მისთა სახე იგი სამქვეალთა... არა სადამრწმენეს“ (იოანე 20, 25). იგი აღსდგა, გარნა შენ დღესაც ყვირი: „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ იგი“! იგი მეორეთაც რომ აღსდგეს, შენ მაშინაც კი შეისვრი უწმინდურს და ცოდვილს ხელებს მისი წმიდა სისხლით! შორს, იუდა! ძირს, იუდა! წარვედ ჩემგან, ფარისევლო და ორგულო!..

ეხლა მესამე მხრით გავიხედოთ. აგერ კრება გაუმართათ. ვისაც დედა ენა და ლევიკის „კურსი“ წაუკითხნია, ყველას პედაგოგის კაკარდა მიუტყუებია შუბლზე და ცხვირი მალლა აუშვერია. ვინც ყოველდღე „ბადვალში“ შანსანტკებთან ქეიფობს, დღეს ორატორად გამოსულა, როგორც მგელი. გახვეული ცხვირის ტყავში. „ბატონებო, სმენა და გაგონება იყოს! — გაისმა ხრინწიანი ხმა. მე შემენარია მაქვს გათავებული, ათი წელიწადი ბიბლია ვყლაპე; მაგრამ კიდევ ვერ გადავეყლაპე. ზებირად ვიცი მაცხოვრის სიტყვები, მაგრამ ყოველ მის თქმაზე სიცილით ვსკდები: „**аще хочешь совершенъ быти, возьми крестъ свой и по мнѣ гряди**“ — გვიბრძანებს ქრისტე. რა ეშმაკია ეს ჯვარი! ვის რად უნდა იგი?! ნუ თუ ჩვენ, ახალმა პედაგოგებმაც, ჩვენს ახალთაობას ეს დამყაყებული სიტყვები უნდა ვასწავლოთ?! ეს ხომ აწ ანაქრონიზმია!! ეს ხომ სისულელეა?! რას იტყვით, ძმებო?“ „ვაშა, ვაშა, მოლოდევ, ბიჭო!“ გაისმის ღრილი.

— ვაშ, ძირს სამღრთო სჯული!

— ძირს, ძირს! ჯვარს აცვ იესო!

გაისმის ბრბოს ხმა. იესო დაჰკიდეს ძელზე! მისი ადგილი ახალმა მოძღვარმა დაიჭირა!

აგერ, გვერდზე ეკლესიაა. სემენარიელები შეპარულან შიგ, ყველაფერი შეუმწიკვლავთ და ეხლა სახარებას სრესენ ფეხით, იმ სახარებას, რომელმაც პირველად ახარა ქვეყნიერობას ძმობა, ერთობა და სიყვარული!

იქ ზიარებაა გაჩაღებული; შაგირდები „მოლოჩნიაში“ შესულან, მწვადი შეუკვეთიან, სისხლიანი ხორკით გამაძლარან და ტუჩებ მოსვრილი მიდიან წმ. ბარძიმზე დაკმაყოფილების ნიშნათ ცალი თვალთ ერთმანეთს შესცქერიან ავაზაკურად. გარედამ ტაშს უკრავენ და ავაციებს ამზადებენ გამირებისთვის! იესო მეორეთ გაუკრავთ ხეზე მოყვის სიყვარული-სათვის და სისხლის დანთხვევისათვის „ჩვენისა ცხოვრებისათვის“! ბრბო ხითხითებს და ხითხითებს! ბოროტი სული დაგლუტს უფლის სიხარულით. მზე ბნელდება და კლდენი იერუსალიმისანი ინგრევიან! მოჰკლეს ქრისტე, აღსდგა იუდა, სტირის სიონ, იშვებს ჯოჯოხეთი და ძალნი მისნი! კაიაფასს ქეიფია გამართული, გამარჯვებას ულოცავენ და ყანწით სმენ ღვინოს.

იქით სოფელია, მდინარეზე იორდანეა გამართული, მღვდელი დიდს აიაზმას იხდის. ბრბოდამ გამოხტება ყმაწვილი, თავმომწონედ არღვევს წრეს სამღვდლოებისს და ერთის წიხლის კვრით წააქცევს ახლად ნაკურთხი წყლის ქურჭელს და იმალება. სამღვდლოება სდუმს, ბრბო ღითხითებს, ეშმაკი ბუქნას უფლის, მზე კრთება, ჯოჯოხეთიდან ტაშის კვრა ისმის! კიდევ იქით, ყრუ სოფელში წირვია ეკლესიაში, დიდი გამოსვლა გათავდა, მღვდელი სულის წმიდის ლოცვას ამბობს და ნაწილებს აკურთხებს. ორი სოფლელი გლეხის გოგო შევადებიან საკურთხეველში, ამოუდგებიან ტრაპეზს გვერდით, აქეთ იქით და იქიარებიან პარძიმში, რომელსაც ხელით ხრიან თავისკენ, რომ დაინახონ, რა არის შიგ.

— შეხედე, გოგო, რავარი „ზაკუსკა“ მოუმზადებია ჩვენ ხუცესს!

— მიჩვენე, გოგო! ვუი დედა! ჰა, შე ეშმაკო, ხუცესო, შენა! ჩვენ არ გვაქმევ?!!

ერთი აიღებს სახარებას ტრაპეზზე, დადგება აღსავლის კარებში და სიცილით იტყ-

ვისა: „სიბრძნით აღემართენით“!

მღვდელს მიწა უწყდება, გოგოები იკრიპებიან, ხალხი სდუმს, გარეთ ტაშის ცემაა, ჯოჯოხეთში მაყრულია, იესო ჯვარზეა, იუდა აღმდგარა!..

აქ კიდევ წირვაა, ქალაქია, ეკლესიაში შემოდის მოხუცი მლოცველი მეტანიით და სანთლით ხელში. უცებ თვალეზზე იტაცებს ხელს და აქეთ იქით იხედება, უნდა გაარჩიოს რამე, მაგრამ ვერას ხედავს, ეკლესია სავსეა პაპიროზის ბოლით. აგერ უკან ორმოცამდე ნოქარი და მოწაფე პაპიროზებით და ქულებით დგარან და აბოლებენ, თანაც ლაზღანდარობენ. შეურაცხყოფილი მლოცველი უიმედოთ გარბის ეკლესიიდან. ბრბო ხითხითებს!..


„რა დროში ვართ“? გაისმის მოხუცის ხმა და ქვითანი. „რა დროში ვართ, ჰა?!“ პასუხი არაა!

ფიქრობ, ფიქრობ და ამბობ შენს გულში: „ნუ თუ ჩვენზედ ამბობდა პავლე მოციქული, როდესაც სწერდა: „უწყოდე, რამეთუ უკანასკნელთა დღეთა მოიწინენ ეამნი ბოროტნი და იყვნენ კაცნი თავის მოყვარე, ვეცხლის მოყვარე, ლალ, თავმოთნე, ამპარტავან, მგომბარ, მამა-დედისა ურჩ, უმადლო, უღირს, უყვარულ, უწირავ, მასმენელ, უთმინო, დაუმკირველ, უზავ, უმშვიდებელ, კეთილის მოძულე, შინა-გამცემელ, წარმდეგ, აღზავებულ, გულის-თქმის მოყვარე უფროს, ვიდრე ღმრთის მოყვარე. აქენდეს ხატი ღმრთის მსახურებისა და ძალსა. მისსა უარ ჰყოფდნენ. რაშეთუ მათგანნი არიან, რომელნი შევლენან სახლებსა და გამოსტყვევენ დედათა, შეკრებულთა ცოდვილთა, მოპოებენ გულისთქმითა თითო სახეთა, ყოვლადვე ისწავებენ და არა სადა მეცნიერებასა ქეშმარიტებისასა შექმნილებელ არიან მოსლვად“ (2 ტიმ. 3. 1—7). ქეშმარიტად ჩვენზედვე ბრძანებს უვალი იერემია წინასწარმეტყველის პირითაც: „იპოვნეს ერსა შორის ჩემსა უღმრთონი და მახენი ვითარცა სიბრძენა და სიბრძენი ვითარცა სახე მოადირისა დაარწმუნეს განსახრწნელად კაცთა და მტინურობდეს ვითარცა მახე აღფოლხევაბული სავსე მფრთხელებითა: ეგრედ სახლი

მათი სავსე ზაკვითა, ამისთვის განდიდნეს და გამდიდრდეს, განსუქნეს და განპოხნეს და გარდახდეს სიტყვათა ჩემთა და მსჯავრსა... ნუ ამათ ზედა არა მოვიხილოთ, იტყვის უფალი, ანუ ნათესავისაგან ესე ვითარისა არა შურ იგოს სულმან ჩემმან. განკრთობა და შეძრწუნებანი იქმნეს ქვეყანასა ზედა“ (იერ. 5, 26 - 30).

ტონკემლი.

(ზემდეგი იქნება).



აღრჩევითი წესი სამღვდელოებაში და მისი ცუდი მხარეები.

(კრების საყურადღებოთ)

იმერეთის სამღვდელოების მომავალმა კრებამ, რომელიც ამ ორიოდ დღეში უნდა მოხდეს, უეჭველად უნდა იქონიოს მეტად სმფუძლიანი მსჯელობა არჩევითი წესების შესახებ, რომელიც შემოღებულ იქნა ჩვენში ამ ერთი წლის წინათ. ჩვენ პრინციპიალურად წინააღმდეგი არა ვართ აღრჩევითი წესისა, მხოლოდ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს წესები ახლანდელი მათი გამოხატულობით ჯერჯერობით მაინც მავნებელი, შემარცხვენელი და დამამკირებელი არიან სამღვდელოებისათვის, მაგრამ მასთანვე არც ხალხისათვისაა სასარგებლო, ვინაიდან მას ძალით აჩეჩებენ ხელში სარწმუნოებასა და ზნეობა მოკლებულ პირებს. ამ წესების რიგიანად მოწყობა, რომ იგინი ნაყოფიერ იქნენ ჩვენთვის და ხალხისათვისაც, უნდა იკისროს მომავალმა კრებამ. ნუ ვინ შეფიქრდება იმით, ვითომც ჩვენივე ბრალი იყოს მათი შემოღება და ამისათვის აღარასფერი გვეთქმოდეს მათ წინააღმდეგ, როგორც ამის ზოგიერთი ჩვენგანი გაიძახის. ეს მართალი არ არის, რადგან ჩვენ სამღვდელოებას ამ ნაირად არა მოუთხოვია და კიდევ რომ მართალი იყოს ეს ბრალდება, მაინც შეგვიძლია თავის მართლება, რადგან ამ წესების ჯეროვნად მოწყობა ჩვენთვის არავის უკითხავს, რომ ეკითხათ, თუ როგორ სჯობდა ამ

საქმის დაყენება, იმ შემთხვევაში ჩვენ მამასახლისებს და მათ მწერლებს მაინც არ ჩაუგდებლით ხელში მის წარმოებას; აგრეთვე ავტობლით უღირსი პირების ხალხის მიერ კანდიდატებად დასახელებას. რა უშავდა, მაგალითად, რომ ან საბლალოჩინო საბჭოს (რომელიც სამწუხაროდ ჩვენში არ დაარსდა და რაც უფრო არე-დაგვრევდა, იმას კი უცბათ სტაცეს ხელი) ან თვით მღვდელთ-მთავარს ქონდა და უფლება ღირსეული კანდიდატების დასახელებისა, რომელთა შორის ერთ-ერთს აირჩევდა ხალხი? ამით ხალხის უფლება იოტის ოდენაც არ იქნებოდა შელახული და სარგებლობას კი მეტს ნახავდა, რადგან ძალ-მომხრობით რამოდენიმე პირთაგან კანდიდატების წარმოყენებას ასცდებოდა. ახლა კი არ აქცევენ ყურადღებას არც ზნეობას, არც მიმართულებას და არც მომზადებას. საშინელ არეულობას იწვევს ახლანდელი წესები: კრივით, მუქარით და ქრთამით მოქმედებენ, რის გამო სამღვდლოებამ სრულიად დაკარგა ხალხის თვალში ის მცირეოდენი პატივიც, რომელიც კიდევ იყო დარჩენილი ამ ხალხში.

ერთი რამ მოვლენა ჩვენ ცხოვრებაში საუცხოვო ახალ ამბად მიმაჩნია და მინდა დავაკვირო იმაზე სამღვდლოება. ეს ამბავი ჩემის აზრით არავისათვის არ უნდა იქნეს სასიამოვნო, იგი დასაგმობია არა თუ მარტო სამღვდლოებისაგან, არამედ ყოველი მიმართულებისა და პარტიის ადამიანისაგან. ეს ამბავი გახლავსთ ზოგიერთა წინანდელი სოციალისტების მღვდლებად განწესება და ამნაირად მათგან ვითომდა დიდი მოწყალების შეტანა საბრალო, ყველასაგან გათელილ და დაზარალებულ ჩვენს ხალხში. თუ რამდენათ გულ-წრფელი იყო რწმენა ახალი მიმართულებისადმი სოფლებში არჩეული წარმომადგენლებისა და ხალხის სახსენლად შემდგარ რაზმში ჩაწერილ პირებისა, — ეს დღეს აშკარად დამტკიცდა და კიდევ უფრო სავსებით დამტკიცდება შემდეგში, რადგან დღეს ჯერ-ჯერობით მათი ნამოქმედარის შეხუთედ ნაწილსაც არ მოთენია ნათელი. მოძრაობამ, ხალხის ცხოვრების პირობათა გაუმჯობესობისადმი მიმართულება, ბევრი

დაპყარვა და დიდი ზარალი ნახა მით, რომ საქმე, არა თუ უსუსურ და შეუვცებელ პირებს მიანდა, რომელთაც ამ მოძრაობის არაფერი არ ესმოდათ და ისე მოკლე ხანში კი მათში შეურყეველი რწმენის ჩანერგვა და მათი გასოციალისტება ყოვლად შეუძლებელი იყო, არამედ ძალიან ხშირად ისეთებსაც ირჩევდენ ამ საქმისათვის, რომელნიც გატაცებული იყვნენ ყაჩაღური და ავაზაკური ლტოლვილობით და ამისათვის მათ სოციალიზმიც თავისი ბილწი სურვილების განსახორციელებელ იარაღათ ჩასთვალეს, რასაც საოცრად უწყობდა ხელს საზოგადოთ ყოველი საკუთრების საერთო ქონებად გამოცხადების ქადაგება და კერძოთ თავად-აზნაურთა და მემამულეთა სარჩო-საბადებელის და მათი ავლადიდების და სახლ-კარის განადგურების იდეა, განსაკვირვებელი იყო მათი მაშინდელი აღფრთოვანება, უნდა გენახათ, რა ნაირის აღტაცებით შეუდგნენ ისინი ამ ახალ საქმეს! გული გიკვდებოდა, როცა ხედავდი, რომ, ამისთანა ყმაწვილები დაკაპიწებულნი და დამკლავულნი ვარბი-გამორბოდენ, სასტიკად ასამართლებდენ უბრალო მიზეზისათვის საცოდავ ადამიანებს, სდევნიდენ ყველას, ვინც მათ არ მოეწონებოდათ, რისთვისაც საკმარისი იყო ხან-და-ხან გარეგანი შეხედულობაც კი. მაგალითად, ანაფორიანი, რაც უნდა კეთილი და კარგი მიმართულობის ადამიანი ყოფილიყო, მაინც საზიზღრად მიანდათ და უდიერად ლანძღავდენ. მათ დასთესეს ერთობისა და შეკავშირების ნაცვლად მტრობა და სიძულვილი. შემდეგში, როცა დრონი იცვალენ, მასთან ერთად იმ წამსვე გამოიცვალენ ეს ვითომდა ხალხისათვის გულ-შემატკივარნი და მისი კეთილდღეებისათვის მზრუნველ-პატრონნი. უცერად შეიცვალეს თავისი აზრი და მიმართულება და თანაც დაამდგრეს: „ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“.

ამას ყველა კარგად ხედავს დღეს და თუ რაში მდგომარეობს მათი ცვლილება კარგად გვეჩქის; მხოლოდ მე ვიტყვი, თუ რამდენად საზარალოა სამღვდლოებისა და ხალხისათვისაც ჩემ მიერ დასახელებული მოვლენა, რომ

მელიც გარეგანი შეხედულობით ზოგიერთს, შეიძლება კანონიერ და ნორმალურ მოვლენად მიაჩნდეს. მე ვამბობ იმ სოციალ დემოკრატების ცვლილებაზე, რომელნიც მათგანვე ნაძაგებ ანაფორაში ეხვევიან და ისე ევლინებიან ქვეყანას და რომ ჰკითხო ამ ყმაწვილებს ასე გიპასუხებენ: ხალხმა მოსვენება არ მოგვცა, გვთხოვა და ჩვენც შევიწყნარეთ მათი თხოვნა და დავსთანხმდით მღვდლობაზეო. ასე კი არა, ძალით, მუქარით და ათასნაირი ყაღბი პირობებით აარჩევინეს თავი. ცხადია, რომ ამისთანა ცვლილებადი მიმართულების და რწმენის კაცები საზოგადო საქმეში სასურველ ნაყოფს ვერ მოიტანენ და მათი მაგალითი და მოქმედება გარყვნის ხალხს, ზნეობრივად უფრო დასცემს და ჩვენზედაც მეტად ააწხედრებს. აგვიხსნან ამ ვაჟბატონებმა, რას ნიშნავს მათი ამგვარი მოქმედება და გადასხვაფერება? რას ფიქრობენ, როცა მღვდლად მიდიან? რატომ არ წარმოიდგენენ, ვინ იყვნენ და რა მიმართულება ქონდათ? აქამდის ხომ ახალ-თაობის კაცებათ მოქონდათ თავი და მღვდელი ახლოსაც კი არ დაენახებოდით? ასე არ იძახდნენ, რომ მღვდლები ატყუებენ, ატყავებენ და ყვლფენ საცოდავ ხალხსო, მუქთახორა არიანო და ჩვენ სოციალისტებმა ისინი და სარწმუნოება სრულიად უნდა მოვსპოთო? ეკკლესია და სარწმუნოება მოგონილიაო, ქრისტე ისეთივე კაცი იყო, როგორც ჩვენა ვართ და სხვა. ახლა კი დახე როგორ გამოიცვალენ ჩვენი სოციალისტები! მოდი და ნუ გაგიკვირდება, გუშინ რომ გაიძახოდა, ღმერთი არ არისო, დღეს კი მღვდლობას ეპოტინება! ვეკითხები ჩემს თავს და ვერ მიმხვდარვარ, თუ რანაირად უნდა მოიქცეს იგი იმავე ხალხში, სადაც ზემოხსენებულ აზრებს ავრცელებდა რამოდენიმე ხნის წინათ? როგორი უნდა იქნეს ამისთანა მოძღვარი და რა ნაირად უნდა უქადაგოს მან თავისს სამწყსოს, რომ ღმერთი არის, ეკკლესიაც საჭიროა და სამღვდლოებაც, ესე იგი, ყოველივე მისი წინააღმდეგი რასაც გუშინ ამტკიცებდა? რასაკვირველია, ეს მისთვის შეუძლებელია და ამისათვის კმაყოფილდება იმით, რომ შევა ეკკლესიაში, სწირავს ურცხ-

ვად და დანარჩენზე ყოველისფრად სდუმს და თავს არ იწუხებს, მხოლოდ დრამასა და მღვდელთმოქმედების შესრულებისათვის სხვა სასყიდელზე, უკაცრავად ნუ ვიქნებით, წინანდებურად აღარ გაიძახის მღვდლებს ნუ მისცემთო. რომ მათი ესრეთი ცვლილება მართლაც და გულიდგან იყოს, მაშინ ჩვენ რაღა გვეთქმოდან? მოქცეულან წარმართნი, ღმერთს უარის მყოფენნი, ცოდვილი და ბოროტი აღაშინებენ, მაგრამ ეს სულ სხვა საქმეა, — აქ გულის სიწმიდით მომხდარი ცვლილება ყოფილა. რაც შეეხება ზემორე აღნიშნულ მოვლენას, — ის სხვა ანგარიშით არის გამოწვეული. ეს გახლავსთ დროის შესაფერისად გარდაქმნა თავის თავისა, უნიადგობა, ღალატი მიმართულებისადმი. როცა რევოლიუციის ქარ-ცეცხლი მძვინვარებდა, იმ დროს, ახალ-თაობის ამისთანა ყმაწვილები ქალაქისა და დაბების ქუჩებში ბოძებს სინჯავდენ, გამოგვადგება თუ არა მღვდლების ჩამოსახრჩობათო; ეხლა კი სამღვდლო აღგილებზე კანდიდატებათ გამოდიან და მეგრე რა ნაირად მოქმედებენ თავისი უმგვანო მიზნის მისაღწევად? დაიცლება თუ არა სადმე სამღვდლო ან სამედავითნო აღგილი, იმ წამსვე გაჩნდებიან ხალხში და ძალ-დატანებით მუქარით, ქრთამით და სხვა უწყსო საქციელით იკეთებენ საქმეს. ერთი ღლიაქოთი და აურზაური ხდება ხოლმე მრევლში, სადაც მღვდლის ან მედავითნის აღგილი რაიმე შემთხვევით რცლება: ერთი მეორეს ემუშტრებაინ და არავითარ საშვალებას, ბოროტ მოქმედებას და სისძაგლეს არ ერიდებიან, რათა თავისი გაიტანონ. უმეტეს შემთხვევაში, ვინც მეტს ხარჯავს, იმას გააქვს საქმე და ეს განა საწარცხინო და სამწუხრო არ არის? მღვდლობა სავაკრო საგნათ გარდაიქცა, ქრისტეს უსისხლო მსხვერპლის შემწირველნი ქრთამებს აძლევენ აღგილებზე განწყებისათვის და მასთან მთელი ხალხის თვალ საჩინოთ. რა შეხედულება უნდა იქონიოს ამ ხალხმა სამღვდლოებაზე? განა დასაძრახავია ამის შემდეგ, რომ მან ზურგი შემოგვაქციოს და აღარ გვიწამოს? სრულიადაც არა! იმას ყოველივეს ვხედავთ, და ყურადღებას არ ვაქცევთ, — ქეშმარიტად ასეა:

„თვალნი გააქვს და ვერ ვხედავთ, ყური გვაბია და არ გვესმის!“ დაეკა სამღვდელ-ლოება, ირყენება ხალხი და ვინ არის ბატრონი, სად არის ქირის-უფალი? ყველანი დადუმებულნი არიან, სასყიდლით დადგინებულნი მწყემსნი, არას ზრუნავენ სამწყსოსათვის, იგინი ემსახურებიან მხოლოდ თავიანთ ინტერესებს.

შემთხვევით ჩვენ ჩავვივარდა ხელში სოფლის მწერლისაგან ერთ საკანდადატო პირზე მიწერილი ბარათი (ამ მიწერალმა ერთს წინათაც დიდი დახმარება გაუწია და აშოვნია მღვდლის ადგილი, უთუოდ გემო ნახა და გავარჯიშდა), რომელსაც აქვე მოვიყვან არჩევითი წესების უვარგისობის დასამტკიცებლად და საზოგადოთ საქმის წარმოების დასახასიათებლად. გთხოვთ გაეცნოთ. „ძმაო ი—ე! შენი წერილი მივიღე იმ დროს, რომ საჩქაროთ პრისტავი მიბარებს და გზახედ ვიდექი, არც მომიცადა შენმა ბიჭმა, რომ დაწვრილებით წამეკითხა შენი წერილი და პასუხი მომეწერა. მაგრამ საქმე რაშიდაც არი ვიცი, ის პრიგოვორი (გვარიც არის მოხსენებული, ვიხედაც არის შემდგარი „პრიგოვორა“) თუმცა წარვადგინე გუშინწინ, მაგრამ იმის დამტკიცების იმედი არ მაქვს, რადგან უქაზის თანახმად ორი ნაწილი ხმის შექონე ხალხს ხელი არ მოუწერია და არც ყოფილა. თან ამ პრიგოვორს 30 კაცის თხოვნაც გავატანე, რომ პრიგოვორი კანონს გარეშეა შემდგარი და ჩვენი ზაკლიუჩენიეც ისე მივსწერეთ რომ არ დამტკიცდება. ახლა შენ არ იფიქრო არაფერი, რაც შეაძლება მაკადინათ ვიქნები, უსათუოთ პოგვივა ცნობა ახალი ყრილობისა და იმდენ ხანს ვაუაჩერებ ამ საქმეს, მანამ ხალხს არ ვიშოვნო, ხარჯს არ დავიზოგამ. შენზე და... (აქ სხვა გვარია კიდევ დასახელებული, რომელთანაც აოლბათ ამნაი ათვე ექნებოდა საქმე დაჭვრილი) იმიტომ არ იყო ლაპარაკი, რომ ცხადად ნაღდი ქონდათ მიღებული (სხვებისგან), მაგრამ კიდევ იმედი საქმე გამობრუნდეს. შემდეგს გაცნობებ რაც მოგვივა.“ ბოლოს ხელი აწერია და ჩიღხეიც.

აღარ დაიჯერებ, რომ წავიხილა საქმე?

კარგად დავაჯერდეთ და შევიგნოთ ჩვენი მდგომარეობა მამასახლისსა და მწერლების ხელში მაინც ნუ ჩავცვინდებით, ამდენათ ნუ დავმცირდებით და ნუ შევირცხვენთ თავს.

წინათაც ვამბობდი და ახლაც ვაფიქრორებ, რომ არჩევითმა წესებმა სარგებლობის ნაცვლად დიდი ვნება მოგვაყენა. მე პრინციპიალურად უარს არა ყვოფ მათ, მაგრამ საჭიროდ კი მიმაჩნია, ეს საგანი ისე მოეწყოს, რომ ჩვენთვისაც სასარგებლო იყოს და ხალხისათვისაც, თორემ რა გამოვიდა! უარეს მდგომარეობაში ჩავცვინდებით და ჩვენი ქვეყანაც ხომ ბედნიერი იქნება ამისთანა მღვდლებით და მწერალ-მამასახლისებით, ნეტავი ჩვენ, რაღა გვიშავს! ჭეშმარიტად სატირალია ჩვენი დრო და კიდევაც უნდა ვსტიროდეთ და ვვიდებდეთ!

მლ. პარმენ ყიფშიძე.

პროფესორ მამს მიულლერის ახრი მატერიალიზმზე.

(მისი წერილებიდან).¹⁾

რუსულიდან.

ვგ ყოლიფერი ვერცა, ამბობენ ცნობილი ფილოსოფოსები: ჩვენი გრძნობები განსაზღვრულია და სრული დანდობა მათზე შეუძლებელია; მაგრამ ჩვენ ჭკუას და უმეტეს გონებას არა აქვს საზღვარი და არაფერს ცნობს თავის საზღვრებ გარეთ. გარნა ნება გვიბოძეთ, ვიცოდეთ, მაინც რას აკეთებს ეს უბრძენესი ჭკუა? რაში მდგომარეობს მისი მუშაობა? დიდიხნის წინეთ კიდევ გობსი ასწავლიდა, რომ ჭკუა აკლებს და აერთებსო—და მეტი არაფერი; იგი უმეტნაკლოთ დებულობს მს, რასაც გრძნობები აძლევს, აერთებს, ადარებს, არქმევს სახელს რომელიმე კავშირის მიხედვით და შემდეგ, როცა სიტყვები და სახელები ბლომად დაუგროვდება, იწყებს დაუსრულებელ შეერთებას და გამოკლებას, სანამ არ მიიღებს ფილოსოფიას და რელიგიას—(სარწმუნოებას). მაინც ჩვენ არ შეგვიძლია გავაქცეთ ჩვენს

¹⁾ იხ. „შინ. საქ.“ № 6.

გრძნობებს ისე, როგორც არ შეგვიძლია, გამოვძვრეთ ჩვენი ტყავიდგან. თქვენ, რა თქმა უნდა, მოგეხსენებათ ძველი თქმულება ლოკისა (ნამდვილად იგი უფრო ძველია), რომ არაფერია ჩვენ ჰკუაში ისეთი, რაც პირველად არ ყოფილა ჩვენ გრძნობებში. მაშასადამე, რაც უნდა ვეცადოთ ჩვენი ცოდნის გაფართოებას შეერთების და გამოკლების საშუალებით, ბოლოს მაინც ვგრძნობთ ჩვენს შეზღუდვით, ჩვენს უფიცობას, რაც სრულიად ბუნებრივია ჩვენის გრძნობების განსაზღვრულობის გამო. მულამ გვესმის ერთი და იგივე ძველი პასუხი: „შენ ემსგავსები სულს, რომელსაც იცნობ, და არა მე.“

ამბობენ, რომ ჩვენ არავითარი ნება არ გვაქვს სულზე ვილაპარაკოთ. ადვილი შესაძლებელია, ეს ასეც იყოს, მაგრამ საქმე იმაშია თუ რას ვგულისხმობთ ჩვენ როდესაც სულზე ვლაპარაკობთ. განა სული, ე. ი. მიძღები საჭირო არ არის სმენისა და მხედველობისთვის? თვალს, როგორც ფოტოგრაფიულ მანქანას, თავის თავად ხედვა არ შეუძლია. ნამდვილად გრძნობების იარაღებით (ყური, თვალი და სხ.) კი ვერ ვხედავთ, ვისმენტ, ვგრძნობთ, არამედ იმ მიძღების საშუალებით, რომლის გარეშეც გრძნობის ორგანოები ვერაფერს მიიღებდნენ, ვერაფერს იგრძნობდნენ. უნდა იყოს რაღაც უცნობი, გრძნობებს გარეშე, მიძღები ან უკეთ რომ ვსთქვათ მგრძნობელი, მხედველი და მსმენელი.

მისთვის არ მიიპოვება სახელი—ეს მართალია. შეიძლება, უნჯობესი იქნებოდა დაგვერქმია მისთვის იქსი ან უბრალოდ უცნობი; მაგრამ ჩვენ თუ ვიცით, რაზედაც ვლაპარაკობთ, რატომ არ უნდა ვუწოდოთ იმას სული, ან Spiritus, ე. ი. მონაბერი? თქვენ გინდათ უწოდოთ მას მოჩვენება? როგორც გნებავთ, მაგრამ უამ მოჩვენებით არ შეგვიძლია გავძლიოთ, თუ არ გვინდა უბრალო ფოტოგრაფიულ მანქანად გადავიქცეთ, ხოლო მე არ ვფი-

ქრობ, რომ თქვენ ამაზე დათანხმდეთ.

თქვენ, რასაკვირველია, შეგიძლიათ სთქვათ და, იმედი მაქვს, კიდევ იტყვიოთ, რომ სული თვით განმავითარებელი მოვლენა არისო. რამდენი ვნება მოუტანა თანამედროვე აზროვნებას ამ სიტყვამ „განვითარება“.

დარვინმა, უსაცილოდ, ბევრი ქეშმარიტება განუმარტა კაცობრიობას. მან დაამტკიცა, რომ ბევრი ეგრეთწოდებული ცხოველების ჯიში განვითარდა მეორე ჯიშისაგან და არა შეიქმნა განსაკუთრებით, როგორც ფიქრობდნენ დარვინამდის. ამ სახელზე და სამსახურზე მას ვერვინ შეეცილება, ხოლო ეს სამსახური პატარა არ არის.

მაგრამ დარვინის შემდეგ გამოდის გერბერ სპენსერი და ამბობს: „ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ ადამიანი, როგორც შედეგი ევოლიუციისა (შეუმჩნეველი განვითარებისა) საზოგადოება, როგორც შედეგი ევოლიუციისა, და ზნეობრივი მოვლენები აგრეთვე, როგორც შედეგი ევოლიუციისა“. ეს ყოლიფერი კარგი, მაგრამ ყველამ იცის, რომ ევოლიუცია, ან განვითარება, არ არის ახალი, განსაკუთრებით სასარგებლო რამ; წინეთ მას ისტორიას ეძახოდნენ, რომელსაც ხანდისხან უმატებდნენ „Генетическая или прагматическая, მაგრამ მის მაგიერ რომ ვილაპარაკოთ, როგორც ეხლა ამას შევბიან, შეუმჩნეველად განვითარებაზე, უწინდელი ერთგული და სინდისიერი ისტორიკოსები ცდილობდნენ შეემჩნიათ შესამჩნევი გარდასვლა, შეესწავლათ ადამიანები და მოვლენები (События), რომლებიც მკაფიოდ (рѣзко) აღნიშნავდნენ შესამჩნევე წინსვლას საზოგადოების ისტორიაში და ზნეობაში. ამისთვის საჭირო იყო გულსმოდგინე შრომა და შედეგად სულ სხვა იყო, ვიდრე ეხლა, როდესაც მოდათ შემოვიდა განვითარება შეუმჩნეველის ნაბიჯით. სხვა საქმეა ბუნების მეტყველებაში: აქ შეიძლება ვილაპარაკოთ ევოლიუ-

ციაზე, მიტომ რომ ჯერ არავის უნახავს და არ შეუნიშნავს, როგორ იზრდება მაგალითად ბალახი, არავის არ შეუნიშნავს, როგორ იქცევა ქვეწარმავალი ფრინველად. აქ შესაძლებელია მივიღოთ უხილავი გადასვლა, ან გარდაქმნა. მაგრამ აქაც ფაქტებს იქით ვერ უნდა წავიდეთ; და თუ ასეთი კაცი, როგორც ვირხოვია, ამტკიცებს, რომ გადასავალი საფეხური ადამიანსა და სხვა რომელიმე ცხოველ შორის ჯერ არავის უპოვნიაო, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი არც ინახება. მაგრამ მე კიდევ შორს მივდივარ და ვამბობ, რომ კიდევ რომ მივიღოთ არსებობა შეუქმნეველ გარდაქმნისა პიტეკანტროპოსისა ადამიანად, ყველაფერში რაც კი შეეხება თეძოებს, თავის ქალას, ტვინს და საზოგადოდ მთელ სხეულს,—განა ეს იმას ნიშნავს რომ უკვე ნაპოვნია ცხოველის ადამიანად გარდაქმნის კვალი? სამწუხაროდ არა: რადგანაც ადამიანი ადამიანია არა მიტომ, რომ მას კული არა აქვს, არამედ მიტომ, რომ ის ლაპარაკობს (მსჯელობს). ხოლო ლაპარაკი იმას არ ნიშნავს რომ შენი გრძნობა გადასცევისმეს—ამას ცხოველიც კარგად ასრულებს, და შეიძლება უკედაც ასრულებდეს, ვიდრე ადამიანი,—არამედ ლაპარაკი ნიშნავს ფიქრს. ფიქრს არა ისე, როგორც ფიქრობს ცხოველი, არამედ ფიქრს ცნებებით, (ლაპარაკი ნიშნავს მსჯელობას).

და აი ეს პატარა რამ—ცნება არის ის, რაც არასოდეს არ ჰქონია არც ერთ ცხოველს. მაიშუნს რომ ეს ნიჭი ჰქონდეს, იგი კაცი იქნება, მიუხედავად მისი მცირე ტვინისა და გრძელი კულისა.

ცნებები კი თავის თავად არ იბადებიან (სე რომ იყოს ცხოველებსაც ექნებათ), არამედ—იგინი არიან ნაშრომი ერთის მხრით ჩვენის წინაპრებისა, რომელიც ჩვენ დავიმკვიდრეთ ენასთან ერთად, მეორეს მხრით უფრო ნიჭიერი თანამედროვე ადამიანებისა. შრომასთან ყოველთვის მშრომელი იგულისხმება და თუ ჩვენ მას,

ამ უცნობ, უხილავ და მით არა ნაკლებ მოქმედს და ვარქმევთ სულს, განა შესაძლებელია ვსთქვათ, რომ ჩვენ ვიწოდებთ რაღაც მოჩვენებას? უწოდეთ მას მოჩვენება, თუ მოგწონთ ეს სახელი, მაგრამ მას მოჩვენების სახითაც უფლება აქვს არსებობისა. მაგრამ დავყვეთ ქვევით. თუ ჩვენ ჩვენი ნების გარეშე მხოლოდ ჩვენი გრძნობებით ვღებულობთ მთელი ქვეყნიერებას, როგორც არის იგი, და ამ გარეგან ქვეყნიერებაში, რომელიც ჩვენ გარეშეა, ყველგან ვხედავთ მიზნისდაგვარობას (ე. ი. რომ ყოველი არსება არსებობს რამე მიზნისათვის), ნუ თუ ჩვენ არ უნდა ვუწოდოთ სახელი იმას, ვინც მიზნისდაგვარად მოქმედებს ბუნებაში? ვუწოდებთ იმას იქსს, თუ ქვეყნიერების სულს, სულ ერთია, უამისოდ ბუნება არ იქნებოდა ის, რაც ეხლა არის. ბუნება უგნური არ არის და არც უგრძნობი. როდესაც ბავში დაიბადება, დედას აქვს რძე,—რისთვის? განა მისთვის არა, რომ ასაზრდოვოს ბავში? ბავშს აქვს ტუჩები და კუნთები უეჭველია წოვისათვის. თესლით სავსე მწიფე ნაყოფი სცვივა ხიდგან, გარსი უსკდება, თესლი სცვივა მიწაში, მოდის წვიმა, თესლი ბიჟინდება, მზე ათბობს და სწარმოებს გალორძინების პროცესს. შემდეგ როცა ხე იზრდება, თავთაც აყვავდება და მოისხამს ნაყოფს, ეს უკანასკნელი სასარგებლოა ადამიანისათვის; ის მისთვის საკმელია და არა საწამლავი. ნუ თუ ეს ყოლიფერი უმიზნო და უაზროა? კაცი? ნუ თუ მას არ სჭირდება წვიმა, სინათლე, სიბნელე და სითბო? და ეს ყოლიფერი ეძლევა მას, რომ შეეძლოს ცხოვრება, ფიქრი და შრომა. რა დაემატებოდა ადამიანს, რომ ბნელი და ღამის განსვენება არ იყოს? უთუოდ ჭკუაზედ შესცდებოდა. რად გადიქცეოდა ადამიანი მზის უსინათლოდ? უთუოდ მუდოთ. და როგორ გასაკვირვადი არ არის, რომ ადამიანი, როგორც მცენარე, მუდამ ახლდება!.. შვილი განირჩევა მამისაგან და მასთან ერთად სავსებით ჰგავს მას! სად არის

ის პირველსავე (პრობრას), რომელიც იცავს ადამიანში განუშორებელ თვისებას და მასთან ერთად აძლევს თვითეთულს თავისუფლებას და პიროვნებას? საიდგან არის ბუნებაში ეს მიზნისდაგვარობა? ეს ძალიან ძველი საკითხია: მაზე ბევრი პასუხი გამოითქვა, როგორც ბრძნული, ისე სულელური. საუბედუროდ კაცობრიობა ძრიელ ხშირად ივიწყებს მას, რაც იყო, რასაც მიაღწია, და ისევ თავიდგან იწყებს. დარვინი იყო ბეჯითი, წვლილმანამდის მკვლევარი და მასთან შესანიშნავი მყუდრო კაცი, მაგრამ ფილოსოფოსი კი არა;—იგი ფიქრობდა, რომ ყოლიფერი, რაც კი მიზნისდაგვარობას წარმოადგენს, წარმოსდგება იქიდგან, რომ ცხოვრებაში იმარჯვებენ უფრო დახელოვნებული ერთეულები.

მაგრამ, ეს საკითხის პასუხი არაა. გვეკითხებიან: რატომ არის, რომ ბუნებაში იმარჯვებენ მხოლოდ მიზნისდაგვარი? და როგორ პასუხს იძლევიან? მისთვის რომ იმარჯვებს მიზნისდაგვარი.

თუ ავიღებთ დარვინის ბუნებრივ ხელის შეწყობას, მაინც იბადება საკითხი: ვინ არის, რომ ამ ბუნებით ხელშეწყობას ამოქმედებს, ვინ არის ხელისმწყობელი? მაინც კიდევ ფრაზები, დიდი ხნიდგან ცნობილნი, ნათრენი და ხელახლა შემთბარნი... თუ ბუნებაში ვნახეთ მიზნის დაგვარობა, ანუ გონიერება, განა არა გვაქვს უფლება დავსკვნათ, რომ ამის სათავე იწყება (იმაღება) დაუსაბამო გონებაში, ან დაუსაბამო არსების გონებაში? თუ ქვეყნიერებაზე (ბუნებაში) არის გონიერი აზრები, უსათუოდ უნდა იყოს გონიერი მოაზრეც. მუხა, ცაცხვი, ფიქვი, წიფელა, რთხმელა ხეებია. მაგრამ რა არის თვით ხე? ხე არავის არსად უნახავს. ხედავენ მხოლოდ მუხას, ცაცხვს, ფიქვს, წიფელას და სხვ. მაშ საიდგან მოიგონეს ხე? რა არი იგი? იგია ცნება, იდეა, ან სიტყვა, ყალიბი, რომლის ფორმაზეა ჩამოსხმული ყველა ის საგნები, რომლებსაც

საერთოდ ხეს ეძახიან. ესევე ითქმის ყოველგვარ საგანზე. არავის არსად უნახავს ცხოველი, ძაღლი, ადამიანი, არამედ ნახულობენ ამა თუ იმ კაცს, ამა თუ იმ ძაღლს. ნახულობენ ივანეს, პეტრეს, მამუკას და არა კაცს საზოგადოდ. მაშ რა არის ის უცნაური რამ, რომელიც ჰქმნის ცხოველს ძაღლად, კაცად, კატად და სხვა? რით გვანან ძაღლები ერთმანეთს? რაში მდგომარეობს ის უხილავი ყალიბი, რომლითაც ჩამოსხმულნი არიან ივანი?

ეს ყალიბია იდეა, აზრი ძაღლზე. მაგრამ შეიძლება განა აზრი გარეშე მოაზრისა? ციდგან ხომ არ ჩამოცვენილან აზრები ქვეყანაზე, ან ის მილიონი საგნები, რომლებიც შეადგენენ ჩვენს ცოდნას? თავის თავად გაჩნდენ ივანი, თუ ბუნებაში გააჩინა? მაგრამ რა არის ბუნება? კაცია, თუ ქალი, თუ ნივთი რამ? თუ ბუნებას შეუძლია ხელშეწყობა, მას შენაძლება აზროვნებაც და შექმნაც. მაგრამ განა ეს შეუძლია მას? არა, ბუნება არის სიტყვა ზოგიერთ შემთხვევაში ძრიელ სასარგებლო, მაგრამ ყოველად უმნიშვნელო, ხელმოუკიდებელი და გაუგებარი. ბუნებას რომ აზრი, გონება, მიზანი მივაწეროთ, ამით ვერაფერს გავდებთ. ნება უნებლიეთ უნდა აღვიაროთ, მას ზევით მოაზრე და ვუწოდოთ მას სახელი. ეს მოაზრე ყოველი საგნებისა, ყოველი იდეებისა, ყველა სიტყვებისა ყოველთვის უხილავი და მიუწომელი დარჩება, მიტომ რომ იმყოფება ბუნების გარეშე; ხოლო მისი აზრები ჩანერგულია ყოველ ქმნილებაში კერძოთ და საერთოთ მთელ ქვეყნიერებაში. და თუ ეს ასეა, თუ მას ვკრძობთ ვკითხულობთ ყოველ საგანში, მაშ რატომ არ უნდა ვუწოდოთ მას ღმერთი, იაგოვა, როგორც ებრაელები, ან ალღახი, როგორც მუსლემანები, ან ბრამა, როგორც ბრამანები? ბოსლევლი

(შემდეგი იქნება).

X ჩვენა დროას არაღს-ეცტახიასს.
ვინმე უგნური
სუსტი, უძლური,

ვნახე სიზმარში, ზეცას შებზოდა...
 არ ჰქონდა ძალი
 ზე ასავალი,
 მაგრამ თავს მაინც არ უტყუდე!..
 ებრძოდა ღმერთსა,
 მიუწოდებელსა
 ამპარტაენობით გატაცებული...
 და ეგ ბოროტ,
 ვით ღონივობტი,
 დანავარდობდა გამარჯვებული!
 გმობდა ყველაფერს,
 მალალს და ნათელს,
 კაცი ცხოველად გადაექცია...
 და აღეარნა,
 (თუ კი ეგ კმარა),
 რომ კაცთა პაპა კია, მხეცია!!
 ამ დროს მოვიდა
 მის მცველი წმიდა,
 მოთხრა: „რას ბოდავს საცოდვეთი?!
 არა სწამს ჯვარი,
 არც მაცხოვარი
 და არც ქალწული მარიამო!!
 ჰკუიდან შეცდა
 კაცი, გამხეცდა,
 ვაი მის დედას, მის მშობელსაო!..
 ნუ მიიკარებო,
 ვინც ქრისტიანობთ
 ნურცა თვითონ და ნურც მის ბარათსაო“!!.

16 მაისი.

ლ. გავუა.

მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უკვდავებას და საიქიო ცხოვრების არსებობას.

(გომართელის „სულასა და ტინის“ გამო).

მაგვალეებულა დედა ღვთაგვანთხევას აძლევს თავის შვილს.

5 თებერვალს 1858 წ. ვლ დიმიტრ ენგელგარდტი სამსახური გამო ქალაქ არხანგელსკში გაემგზაურა და გამგზავრების წინ ლოცვა-კურთხევა გამოითხოვა დედისაგან, რომელიც ამ დროს პეტერბურგში ცხოვრობდა.

გზაში ერთ საღვურზე იგი ღამის გასათევად შეჩერდა და აქ 13 თებერვალს დილის სამ საათზე ცხდათ ნახა დედა და და, რომელიც 1846 წელს გადაიკვალა. დედამ აკურთხა იგი ჯვარის დახვით. ამ სანახავით განცვიფრებულიმა სანთელი აანთო, რომ უფრო ცხდათ დაენახა თავისი დედა და და. მაგრამ იგინი უეცრად უჩინარი გახდენ. შემდეგ იმან გაიგო, რომ სწორეთ იმ დილას გადაკვლილიყო დედამისი პეტერბურგში.

მაგვალეებულა აუწყებს ხანმოკლე საცოცხლეს და ანაგებს მოაქცეს სიძნაღობით.

მეთვრამეტე საუკუნის დამლევს პეტრე დიდი გამოეცხადა პავლე პირველს, რომელიც მაშინ კიდევ მემკვიდრე იყო, — აუწყა მას სამწუხარო დასასრული, ხანმოკლე სიცოცხლე და დარიგება მისცა გასჯილიყო სიძნაღობის კანონებისადაგვარად. ეს ჩვენება აღწერილია თვით მაშინ კიდევ მემკვიდრის პავლე პეტრესძის სიტყვებიდგან. მოთხრობა ჩაწერილია ბარონესა ობერკირხის მიერ, ხოლო თვით მოთხრობას ადგილი ჰქონდა ბრიუსელში, სადაც მემკვიდრე იმყოფებოდა 1772 წ. (რეც. Арх. 1869 г. № III стр. 617—526).

მაგვალეებულა ეცხადება მხედანთ-მოთვანს და სთხოვს ანაგება ავნოს მონასტერს, რასთვისაც კმანდება მშვიდობით დაბრუნებას შან.

1812 წ., როცა ნაპოლეონმა მოსკოვი დაიკირა, პრინცი ევგენი, იტალიის ვიცეკოროლი, თავისი რაზმით გაელაშქრა მოსკოვიდგან ზენიგოროდისაკენ რუსების მტრინავ რაზმების წინააღმდეგ. ის დაბინავდა წმ. საბას მონასტერში. ათი საათი თუ იქნებოდა, როცა პრინცი გაუხდელად მიწვა და მიეძინა. ძილში, თუ სიფხიზლში არ იცის, მან დაინახა რომ ოთახში შემოვიდა ვიღაც გრძელ შავ ტანისამოსით მოსილი კაცი, რომელიც ისე მიუახლოვდა, რომ სანთლის მკრთალ შუქზე შეეძლო გაერჩია მისი პირ სახე; იგი მოეჩვენა მას მოხუცად, ჯალარა წვერებით. მან უთხრა: „ნუ უბრძანებ შენს ჯარს მონასტრის გაკარცვას და განსაკუთრებით ეკლესიიდან რისა-

მე გატანას; თუ შენ ჩემ თხოვნას შემისრულებ, ღმერთი შეგიწყალებს და მშვიდობით და უვნებლად დიბრუნდები სამშობლოში“. დილით პრინცმა ბრძანება გასცა, რომ რაზმი უკანვე მოსკოვში დაბრუნებულიყო; თითონ ეკლესიაში შევიდა და იქ წმ. საბას ცხედართან დაინახა მისი სახე, ვინც წუხელი ნახა. და როცა გაიგო, ვისი იყო ეს ხატი, თაყვანი სცა წმ. საბას ნაწილებს, ხოლო ეს შემთხვევა თავის უბის წიგნში ჩაიწერა. ნაპოლეონის ყველა დანარჩენმა მარშლებმა უბედურად დაასრულეს თავის ლაშქრობა რუსეთში, გარნა პრინცი ევგენი დარჩა სრულებით უვნებელი და არსად ჩხუბში არ დაქრილა. შემდეგ მან უანდერძა თავის შვილს მაქსიმილიანეს, რომ თუ ვინიცობაა, რუსეთში მოკვთრობა მოუხდებოდა, თაყვანი ეცა წმიდა საბას ნაწილისათვის. მაქსიმილიანე მოვიდა რუსეთში 1839 წ. იმპერატორ ნიკოლოზ პავლეს ძის დროს, სადაც დაესწრო 1812 წლის ბრძოლის სახსოვრად გამართულ სამხედრო აღლუმს. შემდეგ გამოიკითხა წმ. საბას მონასტრის მღებარეობა, მოვიდა აქ და თაყვანი სცა წმ. საბას ნაწილს. (Погодинъ. „Простая рѣчь о мудрыхъ вещахъ“ 1873 г. стр. 214).

ავათმყოფს ეცხადება, სასაკვდანიე განემზადას.

ქ. ეტიომირში ექიმ ნ—ს ცოლი დიდი ხნის მძიმე ავთმყოფი იყო; ავთმყოფის მორჩენას აღარავინ ელოდა. იგი იმ ზომამდე დასუსტდა, რომ აღარც ღაპარაკი შეეძლო და აღარც ხელის ხმარება. ერთხელ, როცა ქმარი შინ არ იყო, მოსამსახურეებს რაღაც ძლიერი რეკვა შემოეშოთ ავთმყოფის ოთახიდან; მოსამსახურე ქალს ძლიერ გაუკვირდა, როცა ნახა, რომ ქალბატონი ჩაცმულ-დახურული თავის ლოგინზე იჯდა. ავთმყოფმა გაიყვანა მოსამსახურე მეორე ოთახში, გააღებინა ტანისამოსის კიდობანი და გადმოაღაგა ყველაფერი, რაც საჭირო იყო და უთხრა: „ესენი უნდა ჩამაკვთ, როცა მოგვკვდებიო“. როცა მოსამსახურემ შენიშნა, რომ ის ეხლა კარგად არის და რა დროს სიკვდილზე ღაპარაკიყო,

მან შემდეგი ჩვენება გადასცა და სთხოვა არავისთვის ეთქვა სანამ არ გადიცვლებოდა: „მე არ მეძინაო, უთხრა ავთმყოფმა, როცა ჩემთან ოთახში შემოვიდა თეთრით მოსილი ქალი, მთხოვა არ შემშინებოდა და გამომიცხადა, რომ იგი მოვიდა ჩემთან საუწყებლად, რომ მე მალე მოგვკვდები და მირჩია მოვიმზადო საჭირო ტანისამოსი; ამასთანავე სასტიკად აღმიკრძალა, რომ ქმრისთვის გადამეცა ეს ჩვენება, რომ არაფერი კუდი შემთხვევოდა; შემდეგ ქალი გაჰქრა. ამის შემდეგ იმდენად კარვად შევიქენი, რომ შევიძელი ადგომა, ჩაცმა და მოსამსახურის მოწოდებაო“. ამის შემდეგ ავთმყოფი ისევ ლოგინში ჩაწვა და შეიქნა წინანდებურად უძლური. მეორე დღეს იგი გადაიცვალა. როცა მიცვალეზულისთვის უნდა ჩაეცმიათ, მოსამსახურემ გადასცა ქმარს, რომ ქალბატონმა თავის ხელით მოიმზადა სამკდრო ტანისამოსიო. ამის გამო მან უამბო მიცვალეზულის გადმონაცემი ჩვენებაც. (Сообщилъ Ки—чь со словъ самого доктора Н. Ревуе 1886 г. № 2).

ზარაზის კანსერგატორიის ბრაფესორ მედიკალას ჩვენება.

პარიზელი გაზეთი „ფიგარო“ (12 დეკ. 1885 წ.) გადმოგვცემს შემდეგ შესანიშნავ შემთხვევას, რომელსაც ადგილი ჰქონდა პარიზის ერთ ერთ კონსერვატორიის პროფესორ მედიკალის ცხოვრებაში.

ბ. მედიკალს ჰყავდა დაახლოვებული მეგობარი ბ. ნ., რომელმაც განიძრახა მედიკალში მამულის შექმნა და კიდევ გაემგზავრა, ხოლო წინდაწინ გამოემშვიდობა ბ. მედიკალს. ეს მოხდა 1799 წლის ზაფხულში. იმ ვეღამის ორ საათზე, როცა მახლობელ საყდარზე ორი საათი დაირეკა, მედიკალს გაეღვიძა და ფერხთით დაინახა თავის მეგობარი ნ., მღერი ვილაც საეკვო კუზიანი კაცის ჩრდილში, რომელსაც ხელში დახვეული ბაწარი ეჭირა. ამ უცნაურმა ჩვენებამ ისე ააღელვა მედიკალი, რომ დაძინება ვეღარ მოახერხა და ძრიელადრე ადგა. გავიდა რამდენიმე დღე და მედიკალმა ევრაფერი გაიგო თავის მეგობრის, ხო-

ლო შემდეგ პოლიციაში უთხრეს, რომ მისმა მეგობარმა ადგილი დაიკირა მელენის დილი-
ენში ვილაც უცნობ კაცთან ერთად, მაგრამ
დანიშნულებისამებრ არც ერთი და არც მეორე
არ მისულა, კანდუქტომა კი არ იცის სად
და როგორ გამოვიდნენ იგინი დილიენიდან;
რომ ამის თაობაზე გამოძიება სწარმოებს და
სხე.

გავიდა ხუთი წელიწადი, პროფესორი მე-
დიული შეიქმნა ცნობილი კომპოზიტორი; გე-
ნერალ ნაპოლეონ ბონოპარტემ გამოაცხადა
თავის თავი იმპერატორად, ხოლო მედიული
თავის კაპელმეისტრად, ყოფილი ჩვენება უკვე
დაავიწყდა მედიულს.

ერთხელ, ნაპოლეონის დაგვირგვინების
დღესასწაულობის დროს, მედიული იღვა გა-
ჩირაღდებულ შადრევანთან და უცბად იგრძ-
ნო თავის ჯიბაში სხვისი ხელი; დაიკირა
ქურდი და გადასცა იქვე მდგომ პოლიციელს;
მაგრამ, შეხედა თუ არა დაქერილ ჯიბგირს,
მაშინვე წარმოუდგა ხუთი წლის წინეთ ნახუ-
ლი ჩვენება და ჯიბგირში იცნო ის მეორე
პირი ბაწრით ხელში, რომელიც თავზე ადგა
მის მეგობარს.

მედიული დაბრუნდა ბინაზე რაღაც გა-
მოურკვეველ მდგომარეობაში, ძალიან ცოტა
ეძინა, გაეღვიძა ორ საათზე, რომელიც აუწყა
რეკით იმავე ეკლესიის საათმა და ხელმეო-
რედ დაინახა თავის მეგობრის აჩრდილი.

ამ გარემოებამ აიძულა იგი, რომ მეორე
დილას პოლიციის კომისართან მისულიყო,
რომელსაც უამბო ორივე თავის ჩვენება და
სთხოვა ყურადღება მიექცია, შეიძლება, რამე
დამოკიდებულება აღმოეჩინა დაქერილ ჯიბ-
გირსა და მის მეგობრის უნიშნოდ დაკარგვას
შორის. „იმპერატორის კაპელმეისტარი რომ
არ ვყოფილიყავი, დასძენს ბ. მედიული, მო-
სალოდნელია, კომისარი არ მიაქცევდა ყურა-
დღებას და მხოლოდ დამცინებდა, მაგრამ იმან
ეხლა აღმოთქვა დაწვრილებით გამოკითხვა
ჯიბგირის წარსულის ცხოვრებისა.“ შემდეგ იგი
ჩასვეს განსაკუთრებულ საპრობლეში და მო-
ახდინეს გამოკითხვა, რომელსაც მოჰყვა სრუ-
ლი აღსარება დამნაშავესი.

ამ აღსარებიდან აღმოჩნდა, რომ 1799
წელს კუზიანი იყო უბრალო თერძი და შემ-
თხვევით გაიგო ნ — ის მოსამსახურისგან, რომ
მისი ბატონი მიემგზავრებოდა დელეენით მე-
ლენში მამულის შესაძენად. მაშინ თერძმა გა-
დასწყვიტა ესარგებლნა მისი ფულებით და ამ
მიზნით გაემგზავრა მასთან ერთად მელენში.
მან მოახერხა დელეენში ნ — თან ერთად ჩაჯ-
დომა. ცოტა ხნის შემდეგ ძალი მოიგონა და,
როცა დარწმუნდა, რომ ნ — ს მართლა დაეძი-
ნა, წაუქირა ყელში წინდაწინვე ნაგულები
ბაწარი და მოგუდა. იგდო თუ არა ხელში
პორთველი, მან გადმოაგდო დელეენიდან
ნ — ს გვამი; შემდეგ თითონაც გადმოხტა და
გვამი ტყეში დაფლა. ეს ყველაფერი შეუმჩნე-
ვლად მოახერხა, რადგან მას ხელს უწყობდა
ტყიანი გზა, ბნელი ღამე, დელეენის ხმაუ-
რობა ქვიშიან უსწორმასწორო გზაზე და კონ-
დუქტორთან მჯდომ მგზავრის განუწყვეტლი
სიმღერა.

მკვლელას ჩვენებით, ნ — ს სხეული ნახეს
დაფლული ტყეში ერთ ხის ძირში, ხოლო
მკვლელი საფრანგეთის კანონებისამებრ სიკვდი-
ლით დასაჯეს. (Газ „Фигаро“ Ст. ре-
бусь“ 1886 г. № 44).

**მატყალებულა მმა კვხაება დას, უღაცაგს
ადგამს და აეწეებს მეორე მმას საკვადს.**

რიზანის გუბერნიაში, დანკოვის მაზრაში,
თავის მამულში სცხოვრობდა ვრაფინია მე-
რომცევისა, რომელიც დღესაც ცოცხალია და
სცხოვრობს დანკოვის მაზრაში (მოთხრობა ჩა-
წერილია 1900 წ.) ვრაფინიას ორი ძმა ჰყავ-
და, ორივე სამხედრო სამსახურის, ორივე მო-
ნაწილენი იყო სახელგანთქმული ყირიმის ომი-
სა. ერთი ამათგანი ან მოკლულ იქმნა პირველ
შეტაკებაშივე სევასტოპოლში, ან აეთ გახდა
და ვოსპიტლში გადაიკვალა. მეორე მმა ვა-
ნუშორებლივ სევასტოპოლში იყო. ვრაფინია
მურომცევა აღდგომის წირვიდგან შინ დაბრუნ-
და და რადგან დიდ დაღაულოებას გრძნობ-
და, მოსასვენებლად მიწვა. მიწვა თუ არა, მას
ცხადად და გარკვეულად შემოესმო ფეხის ხმა
მოძავალი მისი ლოგინისაკენ, რომელიც ფარ-

ლით იყო დაფარული. ვილაც გაჩერდა და ფარდა გადასწია; გრაფინიამ შეხედა და გაქვავდა შიშისაგან: მის წინ იდგა მისი მიცვალბული ძმა, რომელმაც შემდეგი იტყვეით მიმართა: „ქრისტე აღდგა, დაიავ. გილოცავ დღესასწაულს! მე მოვედი შეგატყობინო, რომ ჩვენი ძმა დღეს მოკლულ იქნა სევასტოპოლში“. უთხრა თუ არა ეს სიტყვები, მოჩვენება იმავე ნაბიჯით გავიდა ო. ახილგან. ეს ჩვენება რამდენიმე წამს გაგრძელდა და როდესაც ძმის აჩრდილი მიეფარა, გრაფინიამ გულ ამოსკვნით ხმამაღლა ტირილი დაიწყო. ხმაურობაზე მოსამსახურეები შეკრებიდნენ და დაუჯონებლივ ყოველი ღონის ძიება იხმარეს ქალბატონის დასამშვიდებლად. როცა გონს მოვიდა, გრაფინიამ უამბო მათ, რაც შემთხვა. ეს ამბავი სწრაფად მოეფინა ქალაქ დანკოვს და დანკოვის მაზრას და მიიღწია მოხელეების ყურამდისინ. დანკოვის მაზრის უფროსი (ისპრავნიკი) ამ დროს იყო ნიკონორ პეტრეს ძე ბელოკობიტოვი, ეხლა პატივცემული მოქუცი, რომელიც სტოვრობს რიაზანის გუბერნიის ქალაქ შოროვსკში. იგი და მისი ცოლი ხშირად მოიგონებდნენ ხოლმე ამ შესანიშნავ ჩვენებას, რომელიც მით უფრო შესანიშნავი შეიქნა, რომ რამოდენიმე დღის შემდეგ გრაფინიას ამბავი მოუვიდა თავის ძმის გარდაცვალებისა. იგი მოეკლათ აღდგომა დაშეს, როდესაც სხვა აფიცრებთან ერთად მოულოდნელ თავდასხმას უპირებდა მტრებს, სწორეთ იმ დროს, როცა მას გამოეცხადა ძმის აჩრდილი. („Петербург. Листки“, сн. „ребусъ“ 1884 г. № 25).

სანმანია.

მცირე ზანიზვეა.

(ბ. ნ. მკურნალის წერილის გამო).

„ზინაური საქმეების“ მეექვსე ნომერში მოთავსებულია ბ. ნ. მკურნალის წერილი ფრინველების მომვლელ-მომშენებელთა საყურადღებოთ, საზოგადოთ ასეთი სამეტურნო წე-

რილებას ბეჭდვ ძლიერ სასიამოვნო და სიზატიური საქმეა და კარგ სარგებლობას მოუტანს უვიც და ღატკ სოფლის ხალხს, თუკი, რასაკვირველია ასეთ წერილებში მოყვანილი დარიგებები პრაქტიკის ნაყოფია და არა მარტო თეორეტიული. მე არ შევეცხები ბ. მკურნალის მიერ მოყვანილ ყველა დარიგებების განხილვას, მაგრამ ვიტყვი, მხოლოთ იმ უკანასკნელ სტრიქონებზედ სადაც ბ. მკურნალი გვეუბნება, და გვასწავლის თუ როგორ უნდა მოაცილო ქათმის წიწილებს კბენარი (ტილი). მისი აზრით წიწილებს უნდა წაუსვათ თავზე, კისერზე და იღლებში კვირაში სამოთხჯერ უბრალო ზეთითუნის ზეთი“ — ჩვენ კი ეს მოსაზრება მოგვაგონებს მეუღაბნოვსა და ბუზს. იგივე მკურნალის მიერ გამოცემულ პატარა წიგნაკადგან ნახელმძღვანელებ გამოცდილებამ დავარწმუნა, რომ ზეთითუნის ზეთი არამც თუ კბენარებს, თვით წიწილებსაც მუსრს ავლევს. ზეთი თავსა კისერზე და იღლებში წასმული, რაც უნდა მკირე იყოს, მთელ ტანს ივლის და არამც თუ სამჯერ კვირაში, ერთხელაც რომ წაუსვათ, არ გაზრება რამდენ მე დღე. წიწილს უბრმავეებს თვალებს ჩაუდის ყურში და ორ დღეში ორმოცდაათამდის წიწილას მუსრს ავლევს (რასაკვირველია კბენართან ერთათ). აი ასეთი არის ამ საშვალეებით აქიმობის შედეგი, რაც შეეხება რბილი საქმლის ძლივას ეს ძლიერ კარგია, მაგრამ ვერაფერი მარგებელია წიწილებისთვის ცომი, ნამეტურ თუ თხელი მოზლილია. ძლიერ კარგი იქნება ბ. მკურნალი ნაშდვილ გამოცდილებიდან მოგვაწვდიდეს საეურნეო დარიგებებს, რისთვისაც დიდათ მადლობელი ვიქნებით.

მ-ს.

რედაქტორ-გამომცემელი მღვდელი

სიმონ მხაღლიძე